სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1.ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ციფრული კომპეტენციის უნარების განვითარება
პროგრამის სახე: ☒ პროფესიული მომზადება ο პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ο 2 ☒ 3 ο 4 ο 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 100 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5 მაქსიმალური - 20
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

ა) სამუშაოს მაძიებლები აღჭურვოს ისეთი კომპეტენციებით, რომელიც პირს დაეხმარება გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები საჭირო IT ინსტრუმენტების გამოყენებისათვის, ტექსტური დოკუმენტის, ელექტრონული ცხრილების, პრეზენტაციის მომზადებისათვის, შეეძლება ელფოსტის, Google Drive, ვორქნეტის გამოყენება.

ბ) მსმენელებში ციფრული კომპეტენციების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის, პერიფერიული მოწყობილობებისა და ქსელური ტექნოლოგიების საბაზო ფუნქციების ეფექტურ გამოყენებას, ციფრულ გარემოში ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებასა და უსაფრთხო მართვას, ასევე პროგრამირების საფუძვლებისა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებას სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში.

გ) პროგრამა ორიენტირებულია ციფრული კონტენტის შექმნის, მართვისა და გაზიარების, ინფორმაციის სანდოობის შეფასების, კიბერუსაფრთხოების საბაზო პრინციპების გააზრების, AI ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენებისა და პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებაზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. Microsoft Office-ის, Google Drive, ვორქნეთის გამოყენება.
2. კომპიუტერული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის, პერიფერიული მოწყობილობებისა და ქსელური ტექნოლოგიების საბაზო ფუნქციები.
3. ციფრული ინფორმაციისა და კონტენტის კრიტიკული და უსაფრთხო მართვა.
4. პროგრამირების საბაზო პრინციპებისა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება ციფრულ გარემოში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ადმინისტრაცილი სერვისების მენეჯმენტი“ და ,,Front-end დეველოპმენტი“. (დამტკიცების რეკვიზიტები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 335644 (19 მარტი 2026))

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,**ციფრული კომპეტენციის უნარების განვითარება“** მსმენელები შეისწავლიან Microsoft Office-ის, Google Drive, ვორქნეთის გამოყენებას. პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან კომპიუტერული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის, პერიფერიული მოწყობილობებისა და ქსელური ტექნოლოგიების საბაზო ფუნქციებს, ციფრული ინფორმაციის მოძიების, შეფასების, დაცვისა და მართვის პრინციპებს, ასევე პროგრამირების საფუძვლებსა და ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამა ასევე მოიცავს ციფრული კონტენტის შექმნას, AI სისტემებთან ეფექტურ ინტერაქციას (Prompt Engineering), კიბერუსაფრთხოების საბაზო საკითხებსა და ციფრული ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენების პრინციპებს.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 კვირა, კვირაში 25 სთ, პროგრამის მოცულობა 100 სთ.

სასწავლო პროცესი განხორციელდება სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან ცენტრის **A** და **B** ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში.

მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: **1)** განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; **2)** განმსაზღვრელ შეფასებას - ხორციელდება მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე, რაც გულისხმობს **2** ტიპის შეფასებას: **ა)** სწავლის შედეგი დადასტურდა; **ბ)** სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა და შეფასება ტარდება ბოლოს.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სერთიფიკატს

პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს მსმენელის დასაქმებას.

პროგრამის სწავლება განხორციელდება ჰიბრიდულად.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	• კომპიუტერთან მუშაობის დაწყება / დამთავრება • ნავიგაცია ოპერაციული სისტემის გარემოში • ინფორმაციის ორგანიზების ობიექტებთან მუშაობა • მოპოვებული ინფორმაციის შენახვა • კომპიუტერის ქსელში ჩართვის უზრუნველყოფა • ხშირად გამოყენებული პერიფერიული მოწყობილობების დაკავშირება პერიფერიული მოწყობილობების სერვისებით სარგებლობა • ტექსტური რედაქტორების გაცნობა • ტექსტური დოკუმენტის შექმნა, ტექსტური რედაქტორის ფორმატირების ელემენტების გამოყენებით • დოკუმენტში ცხრილებისა და ობიექტების ჩასმა/რედაქტირება ფაილის შენახვა საჭირო ფორმატში • ელექტრონული ცხრილების გაცნობა • ელექტრონული ცხრილების გამოყენებით მონაცემების დამუშავება • ფორმულებთან მუშაობა • მონაცემთა წარმოდგენა დიაგრამების სახით პრეზენტაციის შექმნა შესაბამისი გაფორმებისა და ჩვენების ელემენტებით • ელფოსტით სარგებლობის თავისებურებების გაცნობა კომუნიკაცია ფოსტის მეშვეობით • კომუნიკაცია ფოსტის მეშვეობით • Google Drive, ვორქნეთის გამოყენებას.	1	25	ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.	პრაქტიკული დავალება	A/B გარემო, შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად

2	• კომპიუტერული ტექნიკის საფუძვლები • კომპიუტერის ძირითადი კომპონენტები და მათი ფუნქციები • ოპერაციული სისტემების საფუძვლები • ფაილებისა და საქაღალდეების მართვა • ინტერნეტის და ვებ-ბრაუზერების გამოყენება • საძიებო სისტემები და ინფორმაციის მოძიება • კომპიუტერული ქსელების საფუძვლები • ლოკალური და გლობალური ქსელები • პერიფერიული მოწყობილობების ტიპები და დანიშნულება • მონაცემთა შემნახველი მოწყობილობები • პერიფერიული მოწყობილობების დაკავშირება და კონფიგურაცია • დრაივერების ინსტალაცია და განახლება	**2**	**25**	ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.	პრაქტიკული დავალება	A/B გარემო, შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად
3	• ინფორმაციის მოძიებისა და შეფასების მეთოდები • ინფორმაციის სანდოობისა და ნამდვილობის განსაზღვრა • დეზინფორმაციისა და მანიპულაციური კონტენტის ამოცნობა • მონაცემთა და ციფრული კონტენტის მართვა • ციფრული იდენტობა და რეპუტაცია • პერსონალური მონაცემების დაცვა • კიბერუსაფრთხოების საფუძვლები • პაროლებისა და ანგარიშების უსაფრთხოება • ციფრული ეთიკა და ონლაინ ქცევის ნორმები • ციფრული ტექნოლოგიების სამართლებრივი საფუძვლები • მონაცემთა გაზიარებისა და კომუნიკაციის უსაფრთხო პრაქტიკა • პასუხისმგებლიანი ციფრული მოქალაქეობა	**3**	**25**	ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.	პრაქტიკული დავალება	A/B გარემო, შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად

4	• პროგრამირების საბაზო კონცეფციები • პროგრამირების გარემოსა და მარტივი პროგრამული სტრუქტურების გაცნობა • ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები • AI ინსტრუმენტების ტიპები და გამოყენების სფეროები • Prompt Engineering-ის საფუძვლები • ეფექტური პრომპტების ფორმულირება და ოპტიმიზაცია • ტექსტური და ვიზუალური AI ინსტრუმენტების გამოყენება • AI-ის გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და კონტენტის შექმნის პროცესში • AI ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო და პროფესიულ საქმიანობაში • AI-გენერირებული ინფორმაციის შეფასება და სანდოობის განსაზღვრა • ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები	**4**	**22**	ლექცია, ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.	პრაქტიკული დავალება	A/B გარემო, შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად
	განმსაზღვრელი შეფასება		**3**	-	**პრაქტიკული დავალება**	